საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-834

ქ. თბილისი

08/06/2021

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფ. ქვიტირის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 7 აგვისტოს N 2-747 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფ. ქვიტირის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ 2019 წლის 7 აგვისტოს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-747 ბრძანება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფ. ქვიტირის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“.

ბრძანების პირველ გვერდზე, მეორე აბზაცში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატებად მითითებულია: X - 301538.530; Y - 4677776.745, ნაცვლად კოორდინატებისა: X - 301587.07; Y - 4677740.865. შესაბამისად, საჭიროა მითითებულ ბრძანებაში შესაბამისი შესწორების შეტანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფ. ქვიტირის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 7 აგვისტოს N 2-747 ბრძანების პირველ გვერდზე მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფ. ქვიტირის მიმდებარედ, მდ. რიონის ხეობის მარჯვენა ჭალისზედა პირველ ტერასაზე ჰორიზონტალური რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებას. წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატებია: X - 301587.07; Y - 4677740.865; საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 1 კილომეტრით“.

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. აღნიშნული ბრძანება 5 დღის ვადაში განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი